კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ssიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	III (პროექტ - გაკვეთილი ძირითადად განხორციელდა მე - 3 კლასში. ბოლო აქტივობა - თამაში განვახორციელე მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეებთან ერთად.)
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	სულხან - საბა ორბელიანის იგავ - არაკი ,,ძუნწი და ოქრო“.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფ ინე დ უ ს ვე ბგვე რ დ ს)	დაზოგვა საკვანძო შეკითხვები: რა არის დაზოგვა? რატომ არის დაზოგვა მნიშვნელოვანი? რატომ ზოგავენ ადამიანები ფულს? რა ფორმით შეგვიძლია დავზოგოთ თანხები?
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	მინი ლექცია; აქტიური მოსმენა; დისკუსია; კითხვა - პასუხი; ინდივიდუალური ბარათები; ჯგუფში სამუშაო ბარათები; ელ. რესურსებით სწავლება; საგანმანათლებლო თამაში ბურთით; შერჩეული მეთოდების მრავალფეროვნებამ გაზარდა თითოეული მოსწავლის მოტივაცია და სწავლის პროცესში აქტიური ჩართულობა.
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	აქტივობა განხორციელდა პროექტ - გაკვეთილის სახით 3 დღის განმავლობაში (2 გაკვეთილი და 1 კლასგარეშე აქტივობა) შემდეგი თანმიმდევრობით; დღე I – 45 წთ. 1. მინი ლექცია - მოსწავლეებს გავაცანი პროექტ - გაკვეთილის მიზანი; ვესაუბრე ფულის მნიშვნელობასა და ისტორიაზე; 2. მოსწავლეებმა მოისმინეს კომიქსი ,, დაგროვების ამბავი“, რომელიც მარტივი ენითა და სახალისო ფორმით მოუთხრობს მსმენელს დაზოგვასა და ფინანსური მიზნების დასახვაზე, მომავალზე ზრუნვასა და თანხის დაზოგვის ფორმებზე. გაცნობის შემდეგ გამოვკვეთეთ საკვანძო სიტყვები (ფინანსური ტერმინები): დაზოგვა, კრედიტი, შემნახველი ანგარიში და ვისაუბრეთ მათ მნიშვნელობაზე; 3. დისკუსია - კომიქსის შინაარსზე დაყრდნობით დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმით ისე წარვმართე, რომ მოსწავლეებს საუბრისას გამოეყენებინათ ახალი ლექსიკურ ერთეულები, დაფიქრებულიყვნენ ფულის დაზოგვისა და პირადი ფინანსების მართვის საკითხებზე. გაეაზრათ სიღრმისეულად და დეკავშრებინათ საკუთარ სამომავლო მიზნებთან. 4. ინდივიდუალურ (გასასვლელი) ბარათებზე მუშაობა. გასასვლელი ბარათების ანალიზი დამეხმარა დამედგინა თითოეული მოსწავლის მზაობა ახალ ცოდნასთან, კომპეტენციასთან. დღე II – 45 წთ.

	↙ იგავ-არაკის „ძუნწი და ოქრო“ ელ. ვერსიის მოსმენა და ანალიზი; https://read.bookcreator.com/QobRKo3d7et1ekwX_enE4xb5goxZ0koWG1GEXaiWSas/uoeIRH5yR6axhl3kwbYNJw/end ↙ ჯგუფური სამუშაო; ნამუშევრების პრეზენტაცია და შეჯამება. შეჯამებისას გამოვკვეთეთ ძუნწისათვის მნიშვნელოვანი რჩევა - დარიგება: დაზოგილი თანხის შენახვის უსაფრთხო და მომგებიანი საშუალება - შემნახველი ანგარიშის გახსნა; ფულის დაზოგვა კარგია, თუ მას სამომავლოდ ჩვენი სურვილების ასასრულებლად გამოვიყენებთ. ↙ კომენტარების დატოვება შთაბეჭდილებების ხეზე - მოსწავლეებმა ერთი სიტყვით ან ერთი ფრაზით გამოხატეს საკუთარი შთაბეჭდილებები ახალ კომპეტენციასთან მიმართებით; დღე III - შეჯამება: თამაში ბურთით (25 - 30 წთ). ↙ დასაწყისში კითხვა- პასუხის რეჟიმით მე-3 კლასის მოსწავლეებს მივეცი საშუალება მიღებული ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინათ მე-4 კლასის მოსწავლეებისათვის. ბავშვებმა განიხილეს გავრცელებული მიზნები, რისთვისაც ადამიანები ზოგავენ ფულს; იმსჯელეს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ფულის დაზოგვას. ↙ შემდეგ ვათამაშე: მოსწავლეები მოვაწყე წრეზე. ავუხსენი, რომ მე დავიწყებდი წინადადებას და შემდეგ ბურთს რომელიმე მათგანს გადავუგდებდი, რომელიც ბურთის დაჭერისას დაასრულებდა წინადადებას. შემდეგ იგივე მოსწავლე თავიდან დაიწყებდა იმავე ან მისთვის სასურველ სხვა წინადადებას (წინადადებების დასაწყისი თვალსაჩინოდ იყო გაკრული დაფაზე და დროდადრო უნდა შეეცვალათ ბავშვებს) და ბურთს წრეზე მდგომ რომელიმე სხვა მოსწავლეს გადაუგდებდა. ახალი მოსწავლე თავის მხრივ, ასევე დაასრულებდა წინადადებას და გაგრძელებდა თამაშს. წინადადებები იწყებოდა შემდეგი ფრაზებით: „ადამიანები ხშირად იმისთვის ზოგავენ, რომ...“ ; „დანაზოგი შეიძლება იმაში დამეხმაროს, რომ...“; „მე დამიზოგავს იმისთვის, რომ...“ თამაშის პროცესი საინტერესოდ წარიმართა. მოხალისე მასწავლებელი იწერდა გაჟღერებულ ფრაზებს, რომელიც ბოლოს დავაჯგუფეთ კატეგორიების მიხედვით;
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	მოსწავლეებმა აიმაღლეს ფინანსური წიგნიერება. კერძოდ: დაფიქრდნენ ფულის დაზოგვის მნიშვნელობაზე, ფულის დაზოგვის ფორმებსა და ფინანსურ უსაფრთხოებაზე. რამაც მნიშვნელოვნად განავითარა მათი ფინანსური განთლების, როგორც საბაზისო ცხოვრებისეული კომპეტენცია. ინდ. ბარათების (ტესტის) პასუხები; ჯგუფში გაწერილი რჩევა-დარიგება ძუნწისათვის; შთაბეჭდილებების ხეზე მოსწავლეების კომენტარები; თამაშის დროს გაჟღერებული სამომავლო მიზნები ვფიქრობ, ნათლად გამოკვეთს მოსწავლეთა დამოკიდებულებას ახალ კომპეტენციაზე.

-